სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 1 22 0000248549

11/03/2022

2021-2022 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 მაისის №322 დადგენილების, “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ’’ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის პირველი ოქტომბრის №1011252 ბრძანების, “საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის”, აკადემიური საბჭოს 2022 წლის 10 მარტის №01-05-04/15 დადგენილების საფუძველზე, 2021-2022 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრი დაიწყოს 2022 წლის 14 მარტს.
2. სასწავლო მეცადინეობები 2022 წლის 14 მარტიდან 14 მაისის ჩათვლით ჩატარდეს ჰიბრიდულ რეჟიმში, ხოლო 2022 წლის 23 მაისიდან 02 ივლისის ჩათვლით - არადისტანციურ რეჟიმში (იხ. დანართი 1).
3. სასწავლო კომპონენტში შუასემესტრული გამოცდა (არსებობის შემთხვევაში) ჩატარდეს 2022 წლის 16 მაისიდან 21 მაისის ჩათვლით, მიმდინარე აქტივობები შეფასდეს შესაბამის სილაბუსში მითითებულ კვირებში, დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2022 წლის 11

ივლისიდან 23 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები – 2022 წლის 25 ივლისიდან 30 ივლისის ჩათვლით (იხ. დანართი 1).

4. დოკუმენტური მასალის ჩაბარება, როგორც წესი, მოხდეს: სასწავლო კომპონენტში – 2022 წლის 4 ივლისიდან შესაბამის დასკვნით გამოცდამდე, კვლევით კომპონენტში (გარდა „დისერტაციის დასრულებისა და დაცვის“ ეტაპისა – 2022 წლის 4 ივლისიდან 9 ივლისის ჩათვლით, ხოლო „დისერტაციის დასრულებისა და დაცვის“ ეტაპზე – 2022 წლის 30 მაისიდან 18 ივნისის ჩათვლით.
5. მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სამაგისტრო ნაშრომებისა და დისერტაციების დაცვა, აგრეთვე, პროსპექტუსების/კოლოქვიუმების (არსებობისას) განხილვა, როგორც წესი, განხორციელდეს სასწავლო კომპონენტებისათვის გათვალისწინებული დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ვადაში (იხ. დანართი 1).
6. დისერტაციის წინასწარი დაცვა, როგორც წესი, ჩატარდეს 2022 წლის 10 მაისიდან 28 მაისის ჩათვლით (იხ. დანართი 1).
7. პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდეს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შესაბამისად.
8. შუასემესტრული გამოცდების კვირაში სასწავლო მეცადინეობები არ დაიგეგმოს (იხ. დანართი 1).
9. სასწავლო კომპონენტის (სასწავლო კურსი, თემატური სემინარი, პრაქტიკა და სხვა) წამყვანი პროფესორი ვალდებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ უწყისში (შემდგომში – ელექტრონული უწყისი) სტუდენტთა მიმდინარე აქტივობის შეფასების, შუასემესტრული გამოცდის (არსებობის შემთხვევაში), დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის (გარდა საგამოცდო ცენტრში ჩატარებული გამოცდებისა) შედეგები შეიტანოს არაუგვიანეს შეფასების/გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ოთხი სამუშაო დღისა (17 საათამდე).
10. უნივერსიტეტის საგამოცდო და ელექტრონული სასწავლო რესურსების ცენტრი ვალდებულია ელექტრონულ უწყისში შეიტანოს კომპიუტერულ ცენტრში ჩატარებული შუასემესტრული გამოცდის, დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის შედეგები, არაუგვიანეს გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ოთხი სამუშაო დღისა (17 საათამდე).
11. მაგისტრანტის ხელმძღვანელი/დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია, სამაგისტრო ნაშრომის/დისერტაციის (დოქტორანტურაში – აგრეთვე, თემატური სემინარის) შეფასების შედეგი შეიტანოს ელექტრონულ უწყისში არაუგვიანეს შესაბამისი შეფასე-ბის/დაც-ვის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ოთხი სამუშაო დღისა (17 საათამდე).
12. სემესტრის ბოლოს, არაუგვიანეს დამატებითი გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ოთხი სამუშაო დღისა, სასწავლო კომპონენტის წამყვანმა პროფესორმა, მაგისტრანტის ხელმძღვანელმა, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა ელექტრონული უწყისის ამონაბეჭდზე (2 ეგზ.) ხელმოწერით უნდა დაადასტუროს მონაცემები და წარადგინოს აკადემიურ დეპარტამენტში. დეპარტამენტში რეგისტრირებული უწყისი არსებული წესით გადაეცეს დეკანატს.
13. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს:

13.1. სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტში შესათანხმებლად წარადგინონ საფაკულტეტო ბრძანებების პროექტები მიმდინარე სემესტრში საწარმოო პრაქტიკის გავლის გრაფიკის შესახებ;

13.2. სემესტრის დაწყებამდე სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში წარადგინონ სამსახურებრივი ბარათები აკადემიური ჯგუფების მიერ მიმდინარე სემესტრში გეგმურად გასავლელი სასწავლო კურსებისა (მათ შორის – სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის) და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ეტაპების ელექტრონული უწყისების ფორმირების დასრულების შესახებ;

13.3. სემესტრის დაწყებიდან 6 კვირის ვადაში სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში წარადგინონ ინფორმაცია დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების პირადი საქმეების (მათ შორის, ჩარიცხვის წინაპირობად განსაზღვრული დოკუმენტაციის) მონიტორინგის შედეგების, აგრეთვე, მათი აკადემიური და საფინანსო დავალიანებების შესახებ;
13.4. შუასემესტრული გამოცდების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე შეადგინონ შესაბამისი გამოცდების ცხრილი;
13.5. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 6 კვირისა უზრუნველყონ სტუდენტთა აკადემიური (წინა სემესტრის/სემესტრების სწავლის შედეგების შემოწმება და სასწავლო ხელშეკრულების გაფორმება) და ადმინისტრაციული (საფინანსო ხელშეკრულების გაფორმება ან/და სწავლის საფასურის გადახდა) რეგისტრაციის დასრულება;
13.6. სემესტრის დაწყებიდან 6 კვირაში უზრუნველყონ არარეგისტრირებულ სტუდენტთა ინფორმირება;
13.7. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 6 კვირისა წარმოადგინონ ბრძანებების პროექტები აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტების სასწავლო კურსებისა და კვლევითი კომპონენტების დამატებით (ხელახლა) გასავლელად დაშვების თაობაზე, აგრეთვე, ინფორმაცია შესაბამისი ელექტრონული უწყისების ფორმირების დასრულების შესახებ;
13.8. სემესტრის დაწყებიდან 2 კვირაში სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში წარადგინონ ინფორმაცია კონსულტაციების დანიშვნის შესახებ;
13.9. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 6 კვირისა სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში წარადგინონ საფაკულტეტო ბრძანებები მიმდინარე სემესტრში კომპონენტზე – "სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა" მაგისტრანტების დაშვების შესახებ (იხ. დანართი 2);
13.10. სამაგისტრო ნაშრომების დაცვების დაწყებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წარმოადგინონ ბრძანებების პროექტები საგამოცდო კომისიების შემადგენლობის დამტკიცებისა და ნაშრომების დაცვის დანიშვნის შესახებ;
13.11. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 6 კვირისა სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში წარადგინონ საფაკულტეტო ბრძანებები მიმდინარე სემესტრში ეტაპზე – „დისერტაციის დასრულება და დაცვა" დოქტორანტების დაშვების შესახებ, აკადემიური და ფინანსური დავალიანების არარსებობის მითითებით (იხ. დანართი 3);
13.12. სესიების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში წარადგინონ საფაკულტეტო ბრძანებები დოქტორანტურის თემატური სემინარების შეფასებისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის კოლოკვიუმების განხილვის კომისიების შემადგენლობისა და მათი მუშაობის განრიგის (ჩატარების ადგილი, კომისიების მუშაობის დაწყების დრო) შესახებ;
13.13. დისერტაციის დაცვამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წარმოადგინონ სადისერტაციო საბჭოების თავმჯდომარეების წარდგინების საფუძველზე მომზადებული ბრძანებების პროექტები დისერტაციების დაცვის დანიშვნის შესახებ;
13.14. სესიების დაწყებამდე ორი კვირით ადრე სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში შესათანხმებლად წარადგინონ დასკვნითი გამოცდების ცხრილი (დღეების, საათების და აუდიტორიების მითითებით);
13.15. უზრუნველყონ სამაგისტრო ნაშრომების დაცვის, დოქტორანტების თემატური სემინარის შეფასების, დოქტორანტების კოლოკვიუმების განხილვის, დისერტაციის წინასწარი დაცვისა და დისერტაციის დაცვის პროცესის სრული აუდიოვიდეო ჩაწერა და ჩანაწერის ლაზერულ დისკზე (CD ან DVD) შენახვა, შესაბამისი ოქმის დანართის სახით;
13.16. უზრუნველყონ აკადემიურ დეპარტამენტებთან ერთად სემესტრის განმავლობაში ელექტრონული უწყისების შევსების მონიტორინგი;

13.17. სემესტრის დამთავრებიდან ორი კვირის ვადაში სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში წარადგინონ სამსახურებრივი ბარათები სტუდენტთა შეფასების უწყისების რეგისტრაციის დასრულების და სემესტრის შედეგების შესახებ, აგრეთვე, სტუდენტთა რეიტინგული სიები;
13.18. სემესტრის დამთავრებიდან ერთი თვის ვადაში სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში წარადგინონ სტუდენტთა სწავლების შემდეგ წელზე გადაყვანის ბრძანებათა პროექტები (საჭიროებისას);
13.19. სტუდენტის სტატუსის აღდგენის ვადის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში წარადგინონ იმ სტუდენტთა სტატუსის შეჩერების ბრძანებათა პროექტები, რომლებსაც სწავლების გეგმური ვადის ამოწურვის შემდეგ დარჩათ აკადემიური დავალიანება და დადგენილი წესით არ მიმართეს რექტორს დამატებით სემესტრ(ებ)ში სტატუსის გაგრძელების თაობაზე.
14. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგი დაევალოს შიდა აუდიტის სამსახურს (თ. ურთმელიძე).
15. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლ. კლიმიაშვილს.
16. ბრძანება გამოკრულ იქნეს თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი
გურგენიძე დავით